

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს  
ქალბატონ ნინო გვენეტაძეს

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის  
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსს  
ბატონ გიორგი თვაურს

## **ზოგადი წინადადება დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა**

### **და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე**

*შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის მე-14<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად*

ქალბატონო ნინო,

ბატონო გიორგი,

საქართველოს სახალხო დამცველს 2016 წლის 18 დეკემბერს განცხადებით (N15721/16) მომართა ააიპ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის“ აღმასრულებელმა დირექტორმა ანა არგანაშვილმა. განცხადებაში აღნიშნულია, რომ მოქალაქე გ. გ.-ს (შემდგომში განმცხადებელი), ქმედუნარიანობის აღდგენის მიზნით, ვერ უტარდება ალტერნატიული ფსიქოსოციალური ექსპერტიზა. განმცხადებელი მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს მსგავსი მიდგომა განაპირობებს სისტემურ დისკრიმინაციულ მოპყრობას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების მიმართ.

### **I. ფაქტობრივი გარემოებები**

განცხადებაში აღნიშნულია, რომ ააიპ „სიღნაღის რაიონის სოციალურად უმწეოთა თერაპიის კავშირი - თემი ქედელის“ ბენეფიციარი გ. გ. არის თემის აქტიური წევრი, იგი სრულფასოვნად არის ინტეგრირებული საზოგადოებაში და მუშაობს ადგილობრივ კავშირში. 2016 წლის მაისიდან, განმცხადებელი არის დროებითი მხარდაჭერის მიმღები პირი და მას მხარდაჭერი დანიშნული ჰყავს მხოლოდ პენსიის მიღებისა და განკარგვის სფეროში.

სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 17 ივნისის N56 განჩინების საფუძველზე, განმცხადებელს სსიპ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს

მიერ ჩაუტარდა ფსიქოსოციალური ექსპერტიზა, რომლის თანახმადაც მას მხარდამჭერი ესაჭიროება შემდეგ სფეროებში: საფინანსო ურთიერთობების დამყარება, მკურნალობაზე თანხმობის გამოხატვა, შრომითი საქმიანობა, სამეწარმეო საქმიანობა, უძრავი ქონების მართვა-განკარგვა, საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა, კერძო პირებთან, კერძო საფინანსო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო ორგანიზაციებთან, ასევე სასამართლოში, სოციალური მომსახურების ცენტრსა და ნოტარიუსთან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება.

აღნიშნულ შეფასებას არ ეთანხმებიან გ. გ. და „სიღნაღის რაიონის სოციალურად უმწეოთა თერაპიის კავშირის“ ხელმძღვანელი პირები, ვინაიდან, ექსპერტიზის შეფასება არ ითვალისწინებს მისმაღალ ფუნქციურ შესაძლებლობებს.

განმცხადებელი ორგანიზაცია შეეცადა მოეძიებინა ალტერნატიული ექსპერტული შეფასების ორგანო, თუმცა აღნიშნული შეფასების განხორციელებაზე უარი განაცხადა ოცამდე პროფესიონალმა, მათ შორის, ათმა ფსიქიატრმა. განმცხადებელი ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ აუცილებელია გ. გ.-ს ჩაუტარდეს ალტერნატიული ფსიქოსოციალური ექსპერტიზა მოწვეული უცხოელი ექსპერტების ჩართულობით, რათა მისი ფსიქოსოციალური საჭიროებების შეფასება ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომით მოხდეს.

## II. სამართლებრივი დასაბუთება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ქმედუნარიანობასთან დაკავშირებით პრეცედენტულ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ პირის ქმედუნარიანობის საკითხი საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით (პირადი განვითარების უფლება) დაცულ სფეროში ხვდება.<sup>1</sup> საკუთარი პიროვნების განვითარების უფლება იმდენად ფუნდამენტურია, რომ პიროვნებაზე ზრუნვის მოტივით მასში ჩარევა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იქნეს გამოყენებული, როდესაც ეს პირის ინტერესების დაცვის უკიდურესად აუცილებელი ღონისძიებაა.<sup>2</sup> ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზანი უნდა იყოს ყველაზე ნაკლებად მზღლდავი, მსუბუქი საშუალებით მიღწეული.<sup>3</sup>

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის (შემდგომში კონვენცია) მე-12 მუხლის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ყველგან აქვთ უფლება სამართლის სუბიექტად აღიარებაზე. წევრი სახელმწიფოები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ქმედუნარიანობას სხვებთან თანასწორობის საფუძველზე, ცხოვრების ყველა სფეროში და ატარებენ სათანადო

<sup>1</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 8 ოქტომბრის N2/4/532,533 გადაწყვეტილება, II, 3-6

<sup>2</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 8 ოქტომბრის N2/4/532,533 გადაწყვეტილება, II, 26

<sup>3</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 8 ოქტომბრის N2/4/532,533 გადაწყვეტილება, II, 13-14

ღონისძიებებს, რომ, საჭიროების შემთხვევაში, მხარდაჭერა აღმოუჩინონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს თავიანთი ქმედუნარიანობის განხორციელებისას.

კონვენციის მე-12 მუხლი მჭიდრო კავშირშია კონვენციით გარანტირებულ უფლებებთან. გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კომიტეტის (შემდგომში კომიტეტი) ზოგად კომენტარში აღნიშნულია, რომ მე-12 მუხლი არის კონვენციით განმტკიცებული ისეთი პრინციპების გამოძახილი, როგორცაა ღირსების პატივისცემა, ინდივიდუალური ავტონომია, მათ შორის არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა და ადამიანის დამოუკიდებლობა, დისკრიმინაციის აკრძალვა, სრული და ეფექტური მონაწილეობა, სოციალური ინკლუზია და ა.შ.<sup>4</sup> კომიტეტის განმარტებით, პირის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი ან რაიმე შეზღუდვის არსებობა არ უნდა იყოს სამართალსუბიექტობის ჩამორთმევის საფუძველი.<sup>5</sup>

სამართალსუბიექტად აღიარებისას დისკრიმინაციისგან დაცვა გულისხმობს პირის ნების ავტონომიის და ღირსების პატივისცემას. სამართალსუბიექტობა აუცილებელია, რომ პირს ჰქონდეს საკუთარი არჩევანის გაკეთების თავისუფლება და არის გარანტი, რომ ადამიანის დამოუკიდებლობისა და ავტონომიის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება სამართლებრივად აღიარებული იქნება.<sup>6</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ცალკე არ არეგულირებს სამართალსუბიექტობის საკითხს, თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, პირის სამართალსუბიექტობა ხვდება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) დაცულ სფეროში, ვინაიდან მე-8 მუხლი იცავს ინდივიდის პირად სფეროს, რომლის ფარგლებშიც, მას შეუძლია განავითაროს საკუთარი პიროვნება.<sup>7</sup> ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, ერთ-ერთ საქმეში, რომელიც უკავშირდებოდა პირის ქმედუნაროდ ცნობას, დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა ვინაიდან ქმედუნაროდ ცნობის მიზნით გადაწყვეტილების მიღების პროცესი იყო პირის პირადი ცხოვრებით დაცულ სფეროში არაპროპორციული ჩარევა.<sup>8</sup>

მართალია ევროპული სასამართლოს მიდგომა ქმედუნარიანობასთან დაკავშირებით განსხვავდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის

---

<sup>4</sup> UN Committee on the Rights of Persons with Disabilities, General comment No.1, Article 12: Equal recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014, §4, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://bit.ly/2e4xfgv>

<sup>5</sup> UN Committee on the Rights of Persons with Disabilities, General comment No.1, Article 12: Equal recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014, §9

<sup>6</sup> UN Committee on the Rights of Persons with Disabilities, General comment No.1, Article 12: Equal recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014, §33

<sup>7</sup> ECtHR, *Shtukaturv v Russia*, no.: 44009/09, 27/03/2008, §83; European Commission for Human Rights, *Bruggeman and Scheuten v Germany*, no.: 6959/75, 12/07/1977, §55

<sup>8</sup> ECtHR, *Shtukaturv v Russia*, no.: 44009/09, 27/03/2008, §94

მე-12 მუხლის პრინციპისგან, დასაშვებად მიიჩნევს რა პირისათვის სამართალსუბიექტობის შეზღუდვას ცალკეულ შემთხვევებში<sup>9</sup> და სახელმწიფოებს ანიჭებს მიხედულების ფართო ფარგლებს აღნიშნულთან დაკავშირებით, თუმცა აღსანიშნავია, რომ მიხედულების ფარგლები დამოკიდებულია და შეიძლება კრიტიკულად შეფასდეს ქმედუნარიანობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესის ხარისხიდან გამომდინარე.<sup>10</sup>

გარდა ამისა, ევროპული სასამართლო მიუთითებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის არსებობა, თუნდაც ყველაზე მძიმე ფორმით, ვერ იქნება ერთადერთი მიზეზი, რომელიც გაამართლებს ავტომატურად ქმედუნარიანობის ჩამორთმევას და აუცილებელია, რომ მოხდეს პირის ინდივიდუალური შეზღუდვის ფორმისა ან ინტენსივობის შეფასება ობიექტური სამედიცინო ექსპერტიზით.<sup>11</sup>

ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა ტენდენციას, რომ საერთაშორისო ინსტრუმენტები, მათ შორის გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენცია, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დაცვას და მათთვის რაც შეიძლება დიდი მოცულობით სამართლებრივი ავტონომიის მინიჭებას.<sup>12</sup>

კონვენციის მე-12 მუხლი სახელმწიფოს ავალდებულებს, რომ არ მოახდინოს სამართალსუბიექტობის უგულებელყოფა დისკრიმინაციულად, არამედ, პირიქით, მხარდაჭერა აღმოუჩინოს პირს სამართალსუბიექტობის განხორციელებისას.<sup>13</sup> თანასწორობის მიღწევა მოითხოვს გარკვეული ქმედებების განხორციელებას, მაგალითად, როგორც არის ფსიქოსოციალური ან ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირების მხარდაჭერა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.<sup>14</sup> მხარდაჭერის სისტემა უნდა არსებობდეს იმგვარად, რომ არ მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ცხოვრებაში ზედმეტი ჩარევა და მისი რეგულირება.<sup>15</sup> მხარდაჭერის საჭიროება არ უნდა აყენებდეს ეჭვქვეშ პირის

---

<sup>9</sup> ECtHR, *Kruskovic v Croatia*, no.: 46185/08, 21/06/2011, §30; *Berkova v Slovakia*, no.: 67149/01, 24/03/2009, §172

<sup>10</sup> ECtHR, *Sykora v The Czech Republic*, no.: 23419/07, 22/02/2013, §102; *Gorgulu v Germany*, no.: 74969/01, 26/05/2004, §52

<sup>11</sup> ECtHR, *D.D. v Lithuania*, no.: 13469/06, 14/02/2012, §156, *Shtukaturv v Russia*, no.: 44009/09, 27/03/2008, §94, *Winterwerp v The Netherlands*, no.: 6301/73, 24/10/1979, §39

<sup>12</sup> ECtHR, *Stanev v Bulgaria* [GC], no.: 36760/06, 17/01/2017, §244

<sup>13</sup> UN Committee on the Rights of Persons with Disabilities, General comment No.1, Article 12: Equal recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014, §15

<sup>14</sup> UN High Commissioner for Human Rights, *Monitoring the Convention on the Rights of Persons with Disabilities, Guidance for Human Rights Monitors, Professional training series No. 17*, 2010, გვ.20, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: [http://www.ohchr.org/Documents/Publications/Disabilities\\_training\\_17EN.pdf](http://www.ohchr.org/Documents/Publications/Disabilities_training_17EN.pdf)

<sup>15</sup> UN Committee on the Rights of Persons with Disabilities, General comment No.1, Article 12: Equal recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014, §29

სამართალსუბიექტობას<sup>16</sup> და არ უნდა იყოს გამოყენებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ფუნდამენტური უფლებების შეზღუდვის გასამართლებლად.<sup>17</sup>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, მხარდაჭერის მიმღები პირი არის ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე ქმედუნარიანი პირი, რომელსაც აქვს მყარი ფსიქიკური, გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევები, რომელთა ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363<sup>15</sup>-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, პირს მხარდაჭერა შეიძლება დაენიშნოს შრომითი საქმიანობის, წვრილმანი გარიგების დადების, სამეწარმეო საქმიანობის, უძრავი ქონების მართვის/განკარგვის, საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის, მკურნალობაზე თანხმობის გამოხატვის, მისთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით და სხვათა უფლებებისა და მოვალეობების განსახორციელებლად, რომლებსაც სასამართლო ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე განსაზღვრავს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ საქმის განხილვასთან დაკავშირებულ საკითხზე მოსამართლეს არ გააჩნია სპეციალური ცოდნა, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით დანიშნოს ექსპერტიზა საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საკითხის განმარტებას არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის გადაწყვეტისათვის და მის გარეშე გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელია.

„ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ვ“ პუნქტით, ექსპერტიზის ჩატარებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განსაზღვრულია სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“. ამავე კანონის მე-4 მუხლის თანახმად, ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზა არის დისციპლინათაშორისი საქმიანობა, რომელიც მოიცავს სამედიცინო-ფსიქიატრიული, ფუნქციური, ფსიქოლოგიური, სოციალური ადაპტაციის და სხვა ასპექტების შეფასებას და მისი ძირითადი ამოცანაა პირის გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევის ხარისხის დადგენა, მისი სოციალური ადაპტაციის შეფასება და, აქედან გამომდინარე, პირის მხარდაჭერის თავისებურებების განსაზღვრა.

დღეს, პრაქტიკამ ცხადყო, რომ არსებობს მთელი რიგი ხარვეზები პირის ფსიქოსოციალური საჭიროებების შეფასების პროცესში. ააიპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ (EMC) მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, სასამართლოების

<sup>16</sup> UN Committee on the Rights of Persons with Disabilities, General comment No.1, Article 12: Equal recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014, §33

<sup>17</sup> UN Committee on the Rights of Persons with Disabilities, General comment No.1, Article 12: Equal recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014, §29(f)

მიერ ექსპერტიზისათვის დასმული კითხვები არ არის ზუსტი და ექსპერტს სთხოვს არა კონკრეტულ სფეროსთან მიმართებით პირის ინდივიდუალური საჭიროების შეფასებას მხარდაჭერის ხარისხისა და ინტენსივობის დადგენის მიზნით, არამედ, ზოგადად, პირის ფსიქოსოციალური საჭიროების დადგენას. აღნიშნული აჩვენებს სასამართლოს მხრიდან ფორმალურ მიდგომას.<sup>18</sup> შესაბამისად, ექსპერტიზის ბიუროს დასკვნებიდან არ იკვეთება კონკრეტული პირის ფსიქოსოციალური მდგომარეობისა და ცალკეული უფლებებით დამოუკიდებლად სარგებლობის შესაძლებლობას შორის კავშირი.<sup>19</sup>

სახალხო დამცველის მიერ ჩატარებული კვლევაც აჩვენებს, რომ ექსპერტიზის ბიუროს დასკვნები, და შემდგომში, ამ დასკვნის საფუძველზე მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილება პირისათვის მხარდამჭერის დანიშვნის საჭიროებისა და სფეროების შესახებ, არ არის დაფუძნებული კონკრეტული პირის საჭიროებებზე. დასკვნების უმრავლესობაში ექსპერტიზა მიიჩნევს, რომ პირს მხარდამჭერი ესაჭიროება „ყველა სფეროში“.<sup>20</sup>

ის ფაქტი, რომ არ ფასდება პირის ინდივიდუალური საჭიროებები ვლინდება იმაშიც, რომ მას ისეთი უფლებებით სარგებლობაში ეშლება ხელი, რაც შესაძლოა არ გამომდინარეობდეს ინდივიდუალური შემთხვევიდან.<sup>21</sup> კვლევის თანახმად, მხარდამჭერის ინსტიტუტთან დაკავშირებით საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების უმრავლესობა შაბლონურიადა ძირითადად ეფუძნება ექსპერტიზის დასკვნის ციტირებას, რომელიც თავისმხრივ აბსოლუტურად შაბლონურია.<sup>22</sup>

საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების ანალიზმა აჩვენა, რომ იმ შემთხვევაში თუ ექსპერტიზის ბიურო პირს ცნობს მხარდაჭერის მიღების საჭიროების მქონედ, სასამართლო, ძირითადად, ავტომატურად უნიშნავს მას მხარდამჭერს.<sup>23</sup> სასამართლოს გადაწყვეტილებების შაბლონურობა ეჭვქვეშ აყენებს მხარდაჭერის მიმღები პირებისათვის ფაქტობრივად იდენტური საჭიროების განსაზღვრის გონივრულობას.<sup>24</sup> ამასთან,

---

<sup>18</sup> EMC, *ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმისა და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება - კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი*, 2016, გვ. 44, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://bit.ly/2nv2Ekf>

<sup>19</sup> EMC, *ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმისა და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება - კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი*, 2016, გვ. 45

<sup>20</sup> საქართველოს სახალხო დამცველი, *ქმედუნარიანობა - საკანონმდებლო რეფორმა იმპლემენტაციის გარეშე, კვლევის ანგარიში*, 2016, გვ. 30, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3948.pdf>

<sup>21</sup> საქართველოს სახალხო დამცველი, *ქმედუნარიანობა - საკანონმდებლო რეფორმა იმპლემენტაციის გარეშე, კვლევის ანგარიში*, 2016, გვ. 35

<sup>22</sup> საქართველოს სახალხო დამცველი, *ქმედუნარიანობა - საკანონმდებლო რეფორმა იმპლემენტაციის გარეშე, კვლევის ანგარიში*, 2016, გვ. 23

<sup>23</sup> საქართველოს სახალხო დამცველი, *ქმედუნარიანობა - საკანონმდებლო რეფორმა იმპლემენტაციის გარეშე, კვლევის ანგარიში*, 2016, გვ. 19

<sup>24</sup> საქართველოს სახალხო დამცველი, *ქმედუნარიანობა - საკანონმდებლო რეფორმა იმპლემენტაციის გარეშე, კვლევის ანგარიში*, 2016, გვ. 23

აღსანიშნავია, რომ საერთო სასამართლოების ნაწილი მხარდამჭერის მიმღებ პირს არ განიხილავს მხარედ და დაუსაბუთებელ გადაწყვეტილებას ისე აქვეყნებს, რომ მის დამოკიდებულებას აღნიშნულისადმი არ არკვევს.<sup>25</sup>

შესაბამისად, იქედან გამომდინარე, რომ სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას ემყარება მხოლოდ შაბლონურად დაწერილ ექსპერტიზის დასკვნას და არ ასაბუთებს გადაწყვეტილებას, მხარდაჭერის მიმღები პირი მოკლებულია შესაძლებლობას, რომ გაიგოს თუ რამდენად მოხდა მისი ინდივიდუალური საჭიროებების შეფასება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე თითოეული პირის ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა უნიკალურია და შეუძლებელია კანონმდებლობით ქმედუნარიანობის შეზღუდვის საჭიროების სრულყოფილი და ზედმიწევნით განსაზღვრა. შესაბამისად, პირზე მზრუნველობის ინტერესებსა და მის პირად ავტონომიას შორის ბალანსის დადგენის მიზნით აუცილებელია, რომ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება შეიზღუდოს იმდენად, რამდენადაც ამის საჭიროება ობიექტურად არსებობს კონკრეტული შეზღუდვის ხარისხიდან გამომდინარე.<sup>26</sup>

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ არსებობს შემთხვევები, როდესაც პირს აქვს სათანადო უნარი, რომ მოახდინოს ნების ფორმირება და მისი სახელით გადაწყვეტილებების მიღებისას ადეკვატურად გამოხატოს ნება. შესაბამისად, არ უნდა მოხდეს პიროვნების თავისუფალი ნების გამოვლენის თუნდაც მცირე შესაძლებლობის უგულებელყოფა იმ შემთხვევაში, თუ პირს ასეთი უნარი არ აქვს დაკარგული.<sup>27</sup>

მხარდაჭერით მიღებული გადაწყვეტილება ნიშნავს იმას, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მხარდაჭერის მიმღები პირის მონაწილეობისა და ჩართულობის ხარისხი მაღალია.<sup>28</sup> აქედან გამომდინარე, მხარდაჭერის მიღებისას აუცილებელია, რომ პატივი სცენ პირის უფლებებსა და სურვილებს. მხარდამჭერი პირი არ უნდა იყოს ნების ჩამნაცვლებელი და მეტისმეტი გავლენა არ უნდა ჰქონდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გადაწყვეტილებებზე.<sup>29</sup>

აღნიშნულ მიდგომას ავითარებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოც და აღნიშნავს, რომ კანონის მიზანი უნდა იყოს არა ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე

---

<sup>25</sup> საქართველოს სახალხო დამცველი, *ქმედუნარიანობა - საკანონმდებლო რეფორმა იმპლემენტაციის გარეშე*, კვლევის ანგარიში, 2016, გვ. 21

<sup>26</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 8 ოქტომბრის N2/4/532,533 გადაწყვეტილება, II, 27

<sup>27</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 8 ოქტომბრის N2/4/532,533 გადაწყვეტილება, II, 34

<sup>28</sup> Office of Public Advocate, *A journey towards autonomy? Supported decision-making in theory and practice*, 2014, გვ. 10, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://bit.ly/2q5eDVi>

<sup>29</sup> UN Committee on the Rights of Persons with Disabilities, General comment No.1, Article 12: Equal recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014, §41

პირების ნების სრული ჩანაცვლება, არამედ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი მხარდაჭერა. მხარდაჭერის ფარგლები უნდა მოიცავდეს მხოლოდ იმ საკითხებს, რომლებშიც პირს არ შეუძლია მოახდინოს ნების ფორმირება.<sup>30</sup> საკუთარი პიროვნების განვითარების უფლება გულისხმობს ადამიანის უფლებას, საკუთარი სურვილების შესაბამისად განაგოს თავისი ცხოვრება, თუნდაც საზოგადოების უმრავლესობის ან საშუალო გონიერი ადამიანის ხედვით ეს სურვილები არასათანადო და მიზანშეუწონელი იყოს. შეხედულებები საკუთარი შინაგანი სამყაროსა და გარესამყაროსთან ურთიერთობის ფორმისა და შინაარსის შესახებ იმდენად ინდივიდუალურია, რომ შეუძლებელია მესამე პირი ნების სრული ჩანაცვლებელი გახდეს.<sup>31</sup>

„მხარდაჭერის“ ცნება ძალიან ფართოა და მისი ფარგლები, რა თქმა უნდა, განსხვავდება მხარდაჭერის ტიპისა და ინტენსივობის მიხედვით.<sup>32</sup> კომიტეტის განმარტებით, მხარდაჭერის სახე და ინტენსივობა ყოველი ინდივიდისათვის განსხვავებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე. სახელმწიფომ პატივი უნდა სცეს პირის ინდივიდუალურ ავტონომიასა და მის შესაძლებლობას თავად მიიღონ გადაწყვეტილებები ნებისმიერ დროს.<sup>33</sup> მხარდაჭერის საჭიროების შეფასების კრიტერიუმები არ უნდა იყოს დისკრიმინაციული.<sup>34</sup> ნებისმიერი სახის მხარდაჭერა, მათ შორის, ყველაზე ინტენსიური ფორმაც კი, უნდა ემყარებოდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სურვილსა და მის პრეფერენციებს, და არა იმას, რაც მესამე პირთა მიერ აღქმულია, როგორც პირის ობიექტურად საუკეთესო ინტერესი.<sup>35</sup>

ნებისმიერი პირი შეიძლება დადგეს „მომეტებული გავლენის“ ქვეშ მოქცევის რისკის წინაშე, თუმცა აღნიშნული რისკი იმატებს მაშინ, როდესაც პირი გადაწყვეტილების მიღების პროცესში მხარდაჭერა და მოკიდებული. შესაბამისად, სახელმწიფომ უნდა შექმნას გარანტიები, რომ არ მოხდეს მხარდაჭერის ბოროტად გამოყენება და მხარდაჭერის მიმღებ პირზე მომეტებული გავლენა არ იქონიოს.<sup>36</sup>

ევროპული სასამართლოს მითითებით, მაშინ როდესაც შესაძლებელია, რომ სერიოზული ჩარევა მოხდეს პირის უფლებაში, აუცილებელია, რომ არსებობდეს გარანტიები, რათა

---

<sup>30</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 8 ოქტომბრის N2/4/532,533 გადაწყვეტილება, II, 40

<sup>31</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 8 ოქტომბრის N2/4/532,533 გადაწყვეტილება, II, 35

<sup>32</sup> UN Committee on the Rights of Persons with Disabilities, General comment No.1, Article 12: Equal recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014, §17

<sup>33</sup> UN Committee on the Rights of Persons with Disabilities, General comment No.1, Article 12: Equal recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014, §18

<sup>34</sup> UN Committee on the Rights of Persons with Disabilities, General comment No.1, Article 12: Equal recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014, §29(i)

<sup>35</sup> UN Committee on the Rights of Persons with Disabilities, General comment No.1, Article 12: Equal recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014, §29(b)

<sup>36</sup> UN Committee on the Rights of Persons with Disabilities, General comment No.1, Article 12: Equal recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014, §22



მოხდეს პირის უფლებების დაცვა და მისი ინტერესების გათვალისწინება. სახელმწიფო ვერ ასრულებს ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით (სამართლიანი სასამართლოს უფლება) ნაკისრ ვალდებულებებს იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული სასამართლოები არ შეაგროვებენ საკმარის ინფორმაციას და სათანადო გულისხმიერებით არ მიუდგებიან პირის შესაძლებლობის შეფასებას ქმედუნარიანობასთან დაკავშირებით.<sup>37</sup>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ნათლად მიუთითა აბსოლუტური და ბლანკეტური მიდგომის გამოყენების დაუშვებლობაზე, ვინაიდან პირი ავტონომიურობის დაკარგვით ცხოვრების ყველა სფეროში, კარგავს დამოუკიდებელი და თავისუფალი მოქმედების უფლებას, რაც მის უფლებაში ინტენსიურ ჩარევას წარმოადგენს.<sup>38</sup>

აქედან გამომდინარე, სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ექსპერტიზამ სრულფასოვნად შეაფასოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ინდივიდუალური საჭიროები და არ მოხდეს მათი ფსიქოსოციალური საჭიროებებისადმი შაბლონური მიდგომა.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სამართალსუბიექტობასთან დაკავშირებული ნებისმიერი შეზღუდვა უნდა იყოს დამყარებული სათანადოდ სანდო და მყარ დასკვნაზე. დეტალურ სამედიცინო დასკვნას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება და ის უნდა ასახავდეს პირის ინდივიდუალური მახასიათებლებიდან გამომდინარე, ცხოვრების სხვადასხვა სფეროს კონტროლის შესაძლებლობას და შესაძლო შედეგებს.<sup>39</sup>

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 172-ე მუხლის თანახმად, ექსპერტის დასკვნა სავალდებულო არ არის და მის გამოყენებაზე უარი სასამართლოს მიერ უნდა იყოს დასაბუთებული. შესაბამისად, სასამართლოს ამ მხრივ აქვს შესაძლებლობა, რომ საჭიროების შემთხვევაში, არ დაეყრდნოს მხოლოდ ექსპერტიზის ბიუროს დასკვნას და თავად მოახდინოს მხარდაჭერის მოცულობის განსაზღვრა, იმ შემთხვევაში თუ ექსპერტიზის ბიუროს მიერ მომზადებული დასკვნა იქნება შაბლონური და არ გაითვალისწინებს კონკრეტული პირის ინდივიდუალურ საჭიროებებს.

ამდენად, აუცილებელია, რომ როგორც ფსიქოსოციალური საჭიროების შესახებ ექსპერტიზის დასკვნაში, ასევე სასამართლო გადაწყვეტილებაში ნაჩვენები უნდა იყოს სავარაუდო მხარდაჭერის მიმღები პირისადმი ინვიდვიდუალური მიდგომა. სასამართლომ უნდა დაასაბუთოს, რომ სასამართლო, მხარდამჭერის დანიშვნისას, მხარდაჭერის მიმღები პირის ფსიქოსოციალურ საჭიროებებს ემყარება და გადაწყვეტილებას იღებს პირის საუკეთესო

<sup>37</sup> ECtHR, *H.F. v. Slovakia*, no.: 54797/00, 08/11/2005, §44

<sup>38</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 8 ოქტომბრის N2/4/532,533 გადაწყვეტილება, II, 13

<sup>39</sup> ECtHR, *Sykora v The Czech Republic*, no.: 23419/07, 22/02/2013, §103; *Shtukaturov v Russia*, no.: 44009/09, 27/03/2008, §93

ინტერესებიდან გამომდინარე,<sup>40</sup> წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება წარმოიშვას საფრთხე, რომ მხარდაჭერის მოდელის ნაცვლად მოხდება ნების სრული ჩანაცვლების გამოყენება და პირის ნების ავტონომიაში მნიშვნელოვანი და გაუმართლებელი ჩარევა, რაც ერთი მხრივ, ეწინააღმდეგება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტს, მეორე მხრივ კი, სახელმწიფოს მიერ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციით და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით ნაკისრ ვალდებულებებს.

### III. სახალხო დამცველის კომპეტენციის შესახებ გამოსცეს ზოგადი წინადადება

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დისკრიმინაციის აღმოფხვრასა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი.

იმავე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სახალხო დამცველი ამზადებს და შესაბამის დაწესებულებას უგზავნის ზოგად წინადადებებს დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე.

განსახილველ შემთხვევაში, სახალხო დამცველი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებები და მათთან დაკავშირებული საკითხები განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. იქედან გამომდინარე, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები წარმოადგენენ საზოგადოებაში ერთ-ერთ ყველაზე მარგინალიზებულ ჯგუფს, რომელიც ხშირად არის სტერეოტიპებისა და სტიგმის მსხვერპლი, მნიშვნელოვანია არ მოხდეს მათ ქმედუნარიანობასთან დაკავშირებული საკითხისადმი ზედაპირული მიდგომა და მხარდაჭერის მიღების საჭიროების მქონე პირების ფსიქოსოციალური შეფასება მოხდეს ინდივიდუალური მახასიათებლების წინა პლანზე წამოწევით. აღნიშნული ხელს შეუწყობს ამ პირთა მიერ თავიანთი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტების კონტროლს და მათ ინტეგრაციასა და მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

კომიტეტის განმარტებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განსხვავებულობის პატივისცემა და მიღება არის ადამიანთა მრავალფეროვნებისა და ჰუმანურობის ნაწილი, შესაბამისად, სამართალსუბიექტობასთან დაკავშირებული საკითხის ასიმბალანსიურ ბაზისზე, ანუ ბლანკეტური მიდგომით გადაწყვეტა, მიუღებელია.<sup>41</sup>

<sup>40</sup> საქართველოს სახალხო დამცველი, *ქმედუნარიანობა - საკანონმდებლო რეფორმა იმპლემენტაციის გარეშე*, კვლევის ანგარიში, 2016, გვ. 20

<sup>41</sup> UN Committee on the Rights of Persons with Disabilities, General comment No.1, Article 12: Equal recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014, §33

სამართალსუბიექტობა არის იმაზე მეტი, ვიდრე კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება. საკუთარი ცხოვრების კონტროლის შესაძლებლობა, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამა თუ იმ პირმა შეიძლება დაკარგოს ექსპერტიზის დასკვნის შემდეგ, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ნეგატიური ეფექტი შეიძლება ჰქონდეს ადამიანის თვითშეფასებაზე. ამასთან, საზოგადოების თვალში ეს ადამიანები შეიძლება გაქრნენ როგორც სრულფასოვანი პიროვნებები, აღნიშნული კი წარმოშობს სტერეოტიპების ჩამოყალიბების, ობიექტივიზაციისა და სხვა ფორმით გარიყვის რისკებს. ეს კი თავის მხრივ, ქმნის წინაპირობას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ ჩაგვრისა და უგულებელყოფის პრაქტიკის ჩამოსაყალიბებლად.<sup>42</sup> მაშინ როდესაც პირს წართმეული აქვს უფლება საკუთარი პასუხისმგებლობით მიიღოს გადაწყვეტილებები და ხდება მისი ნების სრულად ჩანაცვლება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები შეიძლება აღიქვან როგორც „ობიექტები“, ხოლო როდესაც ისინი არიან გადაწყვეტილების მიღების ცენტრში და ხდება მათი ინტერესების გათვალისწინება ისინი იქცევიან „სუბიექტებად“.<sup>43</sup>

მხარდაჭერის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მხარდაჭერის მიმღები პირი გახადოს მეტად თავდაჯერებული და განუვითაროს უნარები, რათა მომავალში, სურვილის შემთხვევაში, მათ ნაკლები მხარდაჭერა დასჭირდეთ.<sup>44</sup> ამდენად, მხარდაჭერის ინსტიტუტის სწორად გამოყენებას განუზომელი მნიშვნელობა ენიჭება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, სხვა პირთა თანასწორად, უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მათი საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ სასამართლოს მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა პირის საჭიროებისადმი ერთნაირი, შაბლონური მიდგომა არ არის გამართლებული. სასამართლოსა და ექსპერტიზის ბიუროს მხრიდან პირის ინდივიდუალური საჭიროებების უგულებელყოფა მხარდაჭერის საკითხის განხილვისას, დაბრკოლებას უქმნის ყველა მცდელობას, რომ მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საზოგადოების სრულფასოვან წევრებად განხილვა, ხელს უწყობს დისკრიმინაციის წამახალისებელი, მასტიგმატიზებელი გარემოსა და განწყობების ჩამოყალიბებას და მნიშვნელოვნად აფერხებს ამ პირთა მიერ თავიანთი ფუნდამენტური უფლებებით მაქსიმალურად სარგებლობას.

შესაბამისად, სახალხო დამცველი ზოგადი წინადადებით მიმართავს:

---

<sup>42</sup> Council of Europe, Commissioner for Human Rights, *WHO GETS TO DECIDE? Right to legal capacity for persons with intellectual and psychosocial disabilities*, CommDH/IssuePaper(2012)2, 20/02/2012, გვ.7-8, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://rm.coe.int/16806da5c0>

<sup>43</sup> Thomas Hammarberg, *Persons with disabilities should be assisted but not deprived of their individual human rights*, 21/09/2009, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://www.refworld.org/docid/4ac0a01e2.html>

<sup>44</sup> UN Committee on the Rights of Persons with Disabilities, General comment No.1, Article 12: Equal recognition before the Law, CRPD/C/GC/1, 2014, §24

- საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რომ საქართველოს საერთო სასამართლოებში დაადგინოს სტანდარტი, რომლის მიხედვითაც, სასამართლო ვალდებული იქნება მხარდასაჭერი სფეროები და ფარგლები განსაზღვროს პირის ინდივიდუალური ფსიქოსოციალური საჭიროებიდან და მისი ინტერესებიდან გამომდინარე;
- სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“, რომ ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირების შეფასებისას გამოიყენოს ინდივიდუალიზებული მიდგომა.

ამასთან, სახალხო დამცველი მზადყოფნას გამოთქვამს ზოგად წინადადებაში ასახული საკითხების შესახებ თანამშრომლობასთან დაკავშირებით.

გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად.

პატივისცემით,